№ 160 აგვისტო 4, სამშაბათი 1887 აგვისტო 4, სამშაბათი № 160


| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 5 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ჩიდჟეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

**გაზეთი „ივერიას" პირველის აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 50 კ.**

**შინაარსი:** ტფილისი, 3 აგვისტო.—ახალი ამბავი.—ნარკვევი.—წერილი რედაქციის მიმართ.—რუსეთი.—წვრილი ამბები.—გასართობი.—დეპეშა.—საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

**ფელეტონი:** მამიდას დარდი, (მოთხრობა ციგლერისა).

ტფილისი, 3 აგვისტო

ყველამ კარგად ვიცით, რომ საერო განათლება შეადგენს უსაჭიროესს საგანს ყველა ერთა და საზოგადოებისათვის, რომ მასზეა დამოკიდებული ადამიანთა წარმატება და ბედნიერება. ყველანი, მეტადრე ნასწავლნი, ამას ვღაღადებთ და სიტყვით მაინც მზადა ვართ თავი გადავდოთ, ქონება შევსწიროთ იმ წმინდა საქმისათვის, მაგრამ საქმით-კი სრულიად სხვას ჩავდივართ, და დიდებულს საგანს ვივიწყებთ, და თუ მოვიგონებთ, მხოლოდ მაშინ, როცა ცალიერის ლაპარაკის მეტი არა გვეხარჯებარა, და ცალიერი სიტყვა-კი არც თავსა გვტკენს და არც ჯიბეს გამოგვიბრუნებს. მართლადაც, ვიკითხოთ, თუ რა გააკეთა ანუ რა იმოქმედა პირველად წუებით საერო განათლებისათვის, რა იმოქმედა ჩვენმა საზოგადოებამ, რამდენი ჯაფა და ქონება დაჰხარჯა მან სასახელო, სავალდებულო და დიდად სასარგებლო საქმისათვის? თუ ამ მხრით გასჩხრიკავთ ქართველ საზოგადოების მოღვაწეობას, აუცილებლად იტყვით, რომ იმ საზოგადოებას არა მოუმოქმედია ბეჯითად ამ საგნისათვის, და თუ რამე საშუალება უხმარია ამ საგნის წინ წასაწევად, მხოლოდ იმისთვის, რომ თვით დროთა ვითარება თვალში დაატაკებდა საჭირო საგანს. სხვისი მაგალითი გადამდებიაო, და დავრწმუნდით რა, რომ სხვა-და-სხვა საზოგადოებანი თავის ვალდებულებად სთვლიან საერო განათლებისათვის ხელის შეწყობას, ჩვენც ხელი მოვკიდეთ ამ საგანს და საქმე მარტო ხელის წავლებით-და დავაბოლოვეთ. ამ შემთხვევაში სხვათა მოღვაწეობის მაგალითმა მხოლოდ აგვაპილპილა ჩალასავით და ძვალ-რბილშიკი ვერ გაგვიჯდა. როცა ჩვენმა და სხვათა ცხოვრებამ მიგვაგნებინა, რომ იგი საგანი მეტად საჭირო და სავალდებულო საგანია ადამიანთა ყოფა-ცხოვრებისათვის, ჩვენ დავაარსეთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", მაგრამ საზოგადოება ჰქვიან ადამიანთა კრებულს და არა იმ ასოების კრებულს, რომლებისაგანაც არის შემდგარი წევრთა სია და წევრთა სახელ-წოდებანი.

ეს ჭეშმარიტება-კი დაივიწყა ჩვენმა ქართველმა საზოგადოებამ და ერთხელვე დაარსებული „საზოგადოება", დავიწყებას მივეცით, გულზე ხელები დავიკრიბეთ და ამით დავასრულეთ ჩვენი მოღვაწეობა საერო განათლებისათვისა, დავასრულეთ და თავს კმაყოფილად ვგრძნობთ, ვითომც დიდი საქმე მოვაგვარეთ საზოგადო, საერო წარმატებისათვის. მერე რა დროს ჩავიდინეთ ეს გულგრილობის ცოდვა ქვეყნის წინაშე! იმ დროს, როცა მდაბიო ხალხი მზად არის დაეწაფოს სწავლასა, როცა ამ მდაბიო კაცს თვალი უჭირავს ნასწავლ და შეძლებულ ქართველებზე და თხოულობს გონებითს საზრდოს და იხვეწება: მომაწოდეთ სწავლა, ცოდნა, და გამიადვილეთ ტვირთი ცხოვრებისა, და ჩვენც ვითარცა შეჭფერის ჩვენისთანა მამულიშვილებს, მოვისმენთ თუ არა ამ გვარს ხვეწნას, სიტყვებს-კი ბევრ დავხარჯავთ, მაგრამ საქმით კი ხელს არ ვაწვდით ჩვენის შემწეობის მეძიებელს მდაბიო კაცს.

ეს საუბარი, რომელიც ყოველ თვით-მოქმედ და გულ-მოდგინედ მოღვაწე საზოგადოებისათვის სრულიადაც საჭირო არ არის, გამოიწვიეს „ივერიის" მე-156 №-ში დაბეჭდილ ცნობებმა. ჩვენმა რუისელ კორრესპონდენტმა მოგვაგონა ერთი სრულიად მივიწყებული საგანი, რომელიც ღირსია დიდის ყურადღებისა. გვაქვს პირველ-დაწყებით სკოლები და ვფიქრობთ, რომ მეტი არა ესაჭიროება-რა ხალხსაო; ჩვენ დავივიწყეთ, რომ სწავლა-განათლება სინათლის ლამპარია, რომელსაც მოვლა და გაძლოლა უნდა და უამისოდ კი ანთებისავე უმალ გააქრობს ხოლმე ცხოვრების ნიავქარი. ჩვენ გულიდგან გადაგვივარდა, რომ შრომასა და გარჯაში ჩაბმული ადამიანი იძულებულია დაივიწყოს ის მცირეოდენი სწავლა-განათლება, რომელსაც მას აძლევს პირველ-დაწყებითი სკოლა. მართლადაც ვიკითხოთ, რა გაუკეთებია საზოგადოებას იმისთვის, რომ ხალხში არ გაჰქრეს წმინდა, ერთხელ ანთებული ლამპარი, რომ მდაბიო ხალხს არ გადაავიწყდეთ იგი სწავლა, რომელიც მას შეუძენია პირველს-დაწყებითს სკოლაში? არაფერი, თუ იმ ორიოდე პატარა წიგნთ-საცავებს არ ვიანგარიშებთ, რომლებიც დავაარსეთ ზოგიერთა სკოლებში სოფლელებისათვის საკითხავად. რუისელი კორრესპონდენტი, თვითონ მასწავლებელი, ჰმოწმობს შემდეგს სამწუხარო ამბავს: როდესაც სკოლის დავთრებში ნაჩვენები შეგირდები შევაგროვე, ცხადად დავინახე შემდეგი: ორი-სამის წლის წინად სწავლა შემთავრებული ყმაწვილები ჰკითხულობდნენ გაჭირებით და წერის დროს ასოებს ერთი-ერთმანერთზედ ვეღარ აბამდნენ, და ოთხი-ხუთის წლის გასულები-კი ძლივ-ძლივობით ჩათვლით-და ახერხებდნენ კითხვას და წერას. მიზეზი ცხადი იყო და თვითონაც აღიარეს: „წიგნები არა გვქონდა, რომ გვეკითხა, არც ქაღალდი, რომ გვეწერაო... ამ ბოლოს დროს ჩვენმა გლეხობამ გული აიცრუვა სკოლებზე". კიდევ კარგი, რომ რუისის სკოლაში ჩვენმა კორრესპონდენტმა, მასწავლებელმა ნ. საძაგლიშვილმა, ითავა და პატარა წიგნთ-საცავი გამა-

---

# ფელეტონი

## მამიდას დარდი

(მოთხრობა ციგლერისა)

მამიდა დონტე ძალიან გულ-კეთილი მოხუცებულია. მამიდას უყვარს, რომ ყველაფერი რიგზედა და სუფთად იყოს. ცოტა ბეცია და ამიტომ დიდს სათვალეებს ატარებს. სათვალეებს ზონრით დაიმაგრებს ხოლმე კეფაზე თავმოსახვევ ზემოდამ და ხარობს, რომ შესცქერის ღვთის გაჩენილს ქვეყანას.

მისი სამკაული ორად-ორი შავი დაკულულებული კავეა. ეს კავები საამურადა აქვს ჩამოკონწიალებული. კავებს მამიდა იმიტომ-კი არ იკეთებს, რომ ვითომ გაყმაწვილება და კოხტაობა უნდა,—ამ გვარი აზრი ფიქრადაც არ მოსვლია. ეს კავები ძრიელ დიდი ხანია რაც ასე აქვს, თითქმის მას უკან, როცა თავისი საკუთარი თმა ჰქონდა, ასეთივე შავი და საამური.

ზოგიერთი ხელ-საქმე მამიდამ მშვენივრად იცის და უთოს ხომ იმისთანად ვერავინ მოახერხებს. შეძლებული რომ არ იყოს და საჭიროება მოითხოვდეს, მამიდას შეუძლიან ბლომად იშოვოს ფული უთოობით. მთელი ვენა იმას გამოუგზავნიდა გასახამებელს საყელოებსა და მაჯებს.

ბევრს უკვირს, რომ მამიდას ისევა აქვს ხაბარდა და თავის დროზედ ჩაიცვამს ხოლმე კიდეცა. საკვირველია, ღმერთმანი! ხალხმა არ იცის, რა უნდა და ვერც ყველას მოაწონებ თავსა. უწინ, როცა ხაბარდა შემოიღეს, კეთილი მოხუცი ძალიან წინააღმდეგი იყო ამ მოდისა. მაგრამ მამიდას ჩივილი და წუწუნი არ უყვარს და დაემორჩილება ხოლმე იმას, რასაც სხვები მოიგონებენ. ბოლოს, სწორედ იმ დროს, როცა სხვა ქალებმა მიატოვეს ხაბარდა და სხვა-ფრივ დაიწყეს ჩაცმა-დახურვა, მამიდამ მაშინ გაჰბედა ხაბარდის ყიდვა. მამიდამ იფიქრა, ვაი თუ ახირებული ადამიანი დამიძახონო და გულ-კეთილობის გამო იყიდა ხაბარდა. რაკი ერთხელ იყიდა, ველარ გაცვითა და დარჩა და დარჩა, რადგან მარტო კვირაობით იცვამს ხოლმე ყოველს ახლად ნაყიდს ტანსაცმელს. ვიდრე სულ არ გაცვდება, დამზოგველი და მომჭირნე მამიდა, რაც უნდა იყოს, არ გადააგდებს თავის ხაბარდას და ამიტომ ახლაც აცვია ხოლმე კვირაობით.

უსამართლობა იქნება, რომ დავცინოდეთ მამიდას, ან ამისათვის, ან იმიტომ, რომ ხელ-საქმის პატარა ყუთი უჭირავს ხელში და თან დააქვს, როცა შუა-დღისას მორთული წავა ხოლმე სასეირნოდ, ან იმიტომ, რომ იმის ფეხსაცმელებს ვერცხლის ბალთები აქვს, ლენტებით მორთული, ან და კიდევ პერანგის ამხანაგისათვის, რომელიც, როგორც მოსამსახურე გოგო ამბობს, კოჭებამდინა აქვს ჩამოშვებული. ყოველივე ეს ისეთი წვრილმანი რამეა, რომ არავის არ უნდა ეკრძალოს; გაგონილა! მაშ იმიტომ ხომ არ უფრთხილდება ადამიანი ახალს, რომ მერე როცა მოდა სხვა რამეს მოიგონებს, ან გადაჰყაროს, ან სხვას დაურიგოს საჩუქრად. ან კი მომჭირნე ადამიანს სად შეუძლიან მისდიოს მოდას.

მამიდა-კი რომ მომჭირნე და დამზოგავია, ამაზე მენდეთ!

მამიდა ყოველთვის ასეთი იყო. მაღლა ყავრულში ათასი რამე-რუმე აქვს შენახული. ბევრს არც-კი დაენანებოდა და გადაჰყრიდა ამ რამე-რუმეს, მაგრამ განა მემკვიდრეებს არ დასჭირდებათ შემდეგ? აი ავიღოთ, ვსთქვათ, შუშები. იმისთანა ოჯახში, როგორიც დონტეს ოჯახია, სადაც ერთი ჯარი ყმაწვილები დაიზარდა, რასაკვირველია, ბევრი წამალი დაიხარჯებოდა. ზოგიერთნი აქედ-იქით ჰფანტავენ შუშებს და სრულიად არ ესმით, რას სჩადიან. მამიდა-კი კარგად გამოჰრეცხავს (ვინ იცის, იქნება რისთვის დასჭირდეს ადამიანს?) და წყობისად დაალაგებს ხოლმე; ეხლა, სულ ცოტა, ასი და ათასი მეტი შუშა ექნება მამიდას ასე შენახული. ან თუნდა პრობკები: პრობკები მეორედა და მესამედ ისევე გამოდგება, როგორც პირველად. ამიტომ მამიდამ დაჰყო პრობკები დიდ-პატარეებად და დაალაგა: პატარეები ცალკე და დიდრონები კიდევ ცალკე. რომელთაც ლაქა ეკრა, იმათ წინ-და-წინვე გაასუფთავა ლაქა და ისე დაალაგა.

ამას გარდა ყავრულში ბევრი სხვა რამეები აქვს მამიდას შენახული, ისეთი რამეები, რომელთაც თავ-ქარიანი ხალხი არავითარს ყურადღებას არ აქცევს. მაგალითად, ძაფის კოჭები; მამიდას ამ გვარი კოჭები თოკებზე აქვს ასხმული და შენახული. ამისთანა კუნწულები კოჭებისა მამიდას ამ ჟამად ძალიან ბევრი აქვს. როცა ძველს ტანისამოსს დაარღვევს ხოლმე—მამიდა ისე-კი არ დაარღვევს ხოლმე, რომ ძაფი წყდებოდეს, როგორც უზრუნველი და უდარდელი ქალები იქცევიან—ჩამოიტანს ხოლმე ზემოდამ ერთ-ერთს კოჭს, დაახვევს ზედ ძაფს და შეინახავს ხელ-საქმის ყუთში; ერთხელაც იქნება გამოდგება რისთვისმე ეს ძაფიო. მამიდა აგროვებს აგრეთვე წუმწუმის ჩხირებს, როცა სანთელს ანთებს, დაისველებს ხოლმე მარცხენა ხელის სალოკს თითს და აქრობს წუმწუმას, რომ ჩხირი არ დაიწვას ტყუილ-უბრალოდაო. მამიდა ამ სახით დიდ-ძალს წუმწუმის ჩხირებს შეაგროვებს ხოლმე და ისევ გუდაშივე ინახავს: ზამთარში გამოდგება ცეცხლის დასანთებადაო. ეს წუმწუმის გუდებიც შენახული აქვს ყავრულში, სადაც ათასი ძველი ლურსმანი, წინდის ჩხირები, რაზა-კოჭაკები, ბალთები და ბევრი კიდევ სხვა რკინეული აქვს შეგროვილი და შენახული.

აი ყველა ეს შეგროვილი და შენახული რაგინდარა ცხადად ამტკიცებს, რა სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს კაცს კეთილ-გონივრულმა მომჭირნეობამ. არავინ დაიჯერებს, რამდენი ბურღი, ლურსმანი და რკინეული გამოადგა მამიდას ამ რაგინდარადამ, როცა პატარა მიცი არხიტექტორს ბენდერს მისთხოვდა და როცა მამიდამ თავის სახლის ზემო სართული დაუთმო ახალ ჯვარ-დაწერილებს! ზოგან სურათები დაჰკიდეს, ზოგან სარკეები, ფარდები, ლამპრები, ჭაღები და ყველა ამისათვის მამიდამ იშოვა ლურსმნები. ბენდერს კაპიკიც არ დაუხარჯავს ამაებზე. ლურსმნები კიდევ იმდენი დაჰრჩა, რომ შეუძლიან ოთხი ძმის-წული კიდევ გაათხოვოს.

მაგრამ მოხუცებულს მარტო ერთი ძმისწული ჰყავს, პატარა მიცი, რომელსაც ერგება ბოლოს სახლიცა და სხვა ყველაფერიცა, რაც-კი ამ კეთილმა ადამიანმა შეიძინა და მოიჭირნახულა. უბედურება ეს არის მარტო, რომ მიცი მეტის-მეტი დაუზოგველია! მიცი საშინელი თავ-ქარიანი და ქარაფშუტაა; ფიქრადაც არ მოსდის, რომ ფული მაგრა უნდა ეჭიროს კაცს ხელში. არავინ დაიჯერებს, რომ ეს ქალი ამ მოხუცებულის ახლო ნათესავეია. ძალიან საწყენია! მიცი ასეთი ლამაზი და ცუგრუმელა გოგონაა და ერთი ბეწვა მომჭირნეობა-კი არა აქვს. სულ-კი ბენდერის ბრალია. ეს ბენდერი ისეთი თავზედ ხელ-აღებული რამ არის, რომ ფულებს არც-კი სთვლის. მართალია, ფულს ბევრს შოულობს, მაგრამ განა ვისაც ბევრი აქვს, ფანჯარაში უნდა გადაჰყაროს? დიაღაც რომ არა. თავის დროზედ შვილები ეყოლებათ, მაგრამ ისინი ამაზედ არც-კი ფიქრობენ. მამიდას შენახული აქვს ყმაწვილების საცვლები, რომელიც მიცის დედ-მამას დარჩა და ეს, რასაკვირველია, დიდი

რთა. სხვა სკოლებში-კი უმეტესს ნაწილად ეგ საგანი თითქმის სრულიად მივიწყებულია და ვინ იცის, როდის-ღა მოგვაგონდება? დაუკვირდით ამ ამბავს და ნუ თუ არ იტყვით, რომ ჩვენ დანაშაულობა მიგვიძღვის წინაშე საკუთარის სინიდისისა და ხალხისა. განა ჩვენ ჩვენის გულ-გრილობით და უნაღვლელობით არ ვაქრობთ იმ ლამპარს, რომელიც ძლივას-ღა ბჟუტავს? ჩვენ ამით ნდობასა და ხალხის სიყვარულს ვკარგავთ და ეს დანაკარგი არაფრად მიგვაჩნია.

ამას წინად ჩვენის გაზეთის საშუალებით ბაკურციხელ შეგირდებმა მიჰმართეს წერა-კითხვის საზოგადოებას, ე. ი. მთელს განათლებულს და შეძლებულ ქართველთა დასს და სთხოვეს, გვიშველეთ, წიგნები მოგვაწოდეთო. ჯერ-ჯერობით ეს ვედრება დარჩა ხმად მღაღადებელთა უდაბნოსა შინა; მხოლოდ ერთმა ვინმემ თელოდამ სიღნაღიდგან მიაწოდა ცალი მანეთი, შეიძლება უკანასკნელიც. ეს იყო მხოლოდ ერთად-ერთი შეწირულობა და დანარჩენი ქართველობა-კი ყურსაც არ იბერტყავს, და ბაკურციხელი შეგირდები, სწავლისა და კითხვის მოსურნენი, თითქო იმისთვის ქვეყანაზედაც არ არსებობენ.

აი, რასა გვწერს ბ-ნი ნ. ურბნელი: შარშან „წერა-კითხვის საზოგადოების" მმართველობამ გადასწყვიტა — უსასყიდლოდ დარიგებოდა მთიულებს თიანეთის მაზრაში იაფის ფასის წიგნები. გარდაწყვეტილებამ უქმად ჩაიარა. ეხლა მაინც მოიგონონ ეს ამბავი. სახალხო წიგნების დარიგების გარდა, საჭიროა, რომ ვინმემ იკისროს წიგნების გაყიდვა სოფ. თიანეთში. გთხოვთ, არ დაივიწყოთ, რომ მთიულს წიგნი ძლიერ უყვარს!!" იგივე გვწერს, რომ ხევსურეთში ბევრმა კარგად იცის ვეფხვის-ტყაოსნის უკეთესი ადგილებიო და ბევრნიც იმას ჰკითხულობენ, თუ სად და როგორ იშოვება რუსთველის წიგნიო. გურამიშვილსაც საკმაოდ იცნობენო.

მდაბალის ხალხის ბუნებურ სურვილის გამო გაკეთებით-კი არაფერი გაგვიკეთებია დავიწყებით კი დავივიწყეთ იგი და ამას ვაბრალებთ, რომ ხალხს სწავლა-განათლება, წიგნები ეჭირვებაო. შეიძლება ვინმემ გვიპასუხოს, ამ ნაირ საჭიროებათა გასაძღოლად ჩვენ „წერა-კითხვის საზოგადოება" გვყავსო, მაგრამ საქმე ის არის, რომ „ყოლასთან" საზოგადოებას შენახვაც უნდა, და ამ მხრით-კი ჩვენი ქართველი საზოგადოება სწორედ რომ დიდის საყვედურის ღირსია. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" ქართველთა უგულობით ისე ხელ-მოკლეა, ისეთს მდგომარეობაშია, რომ არ შეუძლიან გასწვდეს ყველა იმ საჭიროებას, რომელსაც გრძნობენ ჩვენში თითქმის ყველგან. იგი „საზოგადოება" ამ გვარს მდგომარეობაში იქმნება, ვიდრე

ჩავაკვირდეთ ყოველსავე ზემოდნათქვამს და ვიკითხოთ, რით შეგვიძლიან თავი ვიმართლოთ?

არა გვგონია ჩვენმა გულ-გრილობამ და დაუდევრობამ ამ გამართლებისათვის რაიმე საბუთი მოგვაწოდოს და ხელთ მოგვცეს.

ა. ნა—ლი

# ახალი ამბავი

*** კვირას, 2-ს აგვისტოს, იტალიის ბაღში კულა გლდანელის და ისაკა რენელის ჭიდაობა იყო გამართული. შემოსავალი ჭიდაობისაგან დანიშნული იყო ერთის ახალგაზდა ყმაწვილის ლ. ც—ის სასარგებლოდ, რომელიც რუსეთში აპირებს წასვლას უმაღლესის სწავლის მისაღებად. განცხადებაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ კულას ძმა, მიხა გლდანელი, დაეჭიდება ბ-ნ რჩეულოვსაო, მაგრამ, მოვიდა თუ არა მათი რიგი, რჩეულოვმა უარი გამოაცხადა: სანამ ორ თუმანს არ მომცემთ, არ გამოვალო. შემოსავალი-კი იმდენი არ იყო, რომ შეპირებული ფული მიეცათ მისთვის. ხალხმა კიჟინა დასცა: უთუოდ აჭიდავეთ მიხა გლდანელიო. ამ დროს გაცხარებულმა ლ. ც—მა გაიხადა სერთუკი, მოიხსნა ყელ-სახვევი, ჩაიცვა ჩოხა და ერთს წუთს მოედანზედ გაჩნდა. ამ გარემოებამ ყველანი გააოცა. ლ. ც—ის გამოსვლა და მიხა გლდანელის მიწაზედ დაცემა ერთი იყო. მაგრამ ეს როდი აკმარა ხალხს ახალგაზდა ფალავანმა: სამჯერ ზედი-ზედ წააქცია ნაქები მოჭიდავე. ხალხის ალტაცებას საზღვარი არა ჰქონდა და თითქმის ნახევარ საათამდის სულ ბრავოს ძახილში და ტაშის კვრაში იყვნენ. მოვიდა რიგი რენელისა და უფროსის გლდანელისა. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივის სითამამით გამოვარდა მოედანზე, ამ სიმარდეს ჯავრიც მოჰყვა, რადგან ძმა წაუქციეს, და ყველას ეგონა—ცუდს დღეს დააყენებს რენელსაო. მაგრამ ამ განთქმულ ფალავანსაც უღალატა იღბალმა და რენელმა ქვეშ მოიქცია. ერთის სიტყვით, ამ დღეს ორივე ძმები გაილახა. როგორც შევიტყეთ, კულა გლდანელი მომავალ კვირასაც აპირებს რენელთან ჭიდაობასაო.

*** ქუთათური კორრესპონდენტი გვწერს, რომ წელს დიდი მოსავალია იქითკენ ბაღეულობისა. ამის გამო თურმე ძალიან ბევრი ხილი შეაქვთ ქუთაისში გასაყიდად. თითქმის უფასოდ იყიდება ნესვი, კიტრი და სხვანი. ხალხიც ამიტომ ძალიან ეტანება ხილსა და საშიშოა ავადმყოფობა რამ არ გაჩნდეს ამ ზაფხულსა, მით უმეტესს, რომ ბაზარს არავინა ჰპატრონობს და ჰყიდიან განურჩევლად კარგსა და ავსაო. ქალაქის გამგეობა თითქო თავის მოვალეობად არა სთვლიდეს თვალ-ყური დაიჭიროს და დამპალი არა გააყიდინოს-რა ეჭირებსაო.

*** იქიდამვე გვწერენ: ქალაქის ბაღი, რომელიც წინად სახედრების მოედნად იყო გადაქცეული, ეხლა მაგრად და ლამაზად შემოღობა ჩვენმა გამგეობამ. ღობის წყალობით თითქმის ნახევარი ალაგი მწვანე კოინდარით არის შემოსილი, ასე რომ წინანდელთან შედარებით ბაღი უფრო კარგს და სასიამოვნო სანახავს წარმოადგენს. მეორე ბაღიცა აქვს ქუთაისს, ქალაქ გარედ, ეგრედ წოდებული „ფერმა", მაგრამ მთლად დავიწყებულია ქალაქის გამგეობისაგან. თუმცა საზოგადოება-კი არ ივიწყებს და ძრიელაც ეტანება, იმიტომ-რომ ჰავით და მდებარეობით მშვენიერი რამ არის ეს ბაღი. მუდამ კვირასა და უქმე დღეს აქ იმართება საერო სეირნობა, და უკრავს მუსიკა. საზოგადოებაც მრავალი დაესწრბოა ხოლმე. ეს ბაღი თითქმის ერთად-ერთი ადგილია, სადაც საზოგადოება თავს იყრის დროების გასატარებლად და ჰაერის ჩასაყლაპავად. ამიტომ ძრიელ დიდს დავალებას გაუწევს ქუთაისის ქალაქის გამგეობა აქაურ საზოგადოებას, რომ ამ ბაღს მიაქცევდეს ჯეროვან ყურადღებას და შეაკეთებდეს.

*** ოდესის უნივერსიტეტის ქართველ-სტუდენტობამ დაკარგაო, გვწერს ქუთაისიდამ სტუდენტი გიორგი ლასხიშვილი, ერთი თავის საუკეთესო წევრი. ამ დღეებში სენაკის მაზრის სოფ. თეკლათში ჭლექისაგან გარდაიცვალა II კურსის სტუდენტი იასონ სალაყაია. გარდაცვალებული იყო სამაგალითო სტუდენტი თავის ამხანაგებში. ამ პატიოსანს, ნიჭიერს და შრომის-მოყვარე ყმაწვილ-კაცს გაგიჟებით უყვარდა თავისი სამშობლო, იტანჯებოდა მისის ჩამორჩომით განათლებაში და გულმხურვალედ ემზადებოდა თავის მხრითაც რაიმე სარგებლობა მოეტანა ქვეყნისათვის, მაგრამ მუხთალმა ბედმა არ დააცალა საბრალო იასონს!.. ვინც განსვენებულს იცნობდა, იმან კარგად იცის, რა დიდი დანაკლისია ჩვენის პატარა ინტელიგენციისათვის სალაყაიას სიკვდილი: ცოტაა ჩვენ ახალ-გაზდებში ამისთანა მშრომელი, პატიოსანი და ნიჭიერი ყმაწვილი-კაცი... განსვენებულს დიდი და მადლიანი ზედმოქმედება ჰქონდა ქართველ სტუდენტობაზე, რომელიც დიდის სასოებით და იმედით შესცქეროდა იასონსა.

განსვენებული დაასაფლავეს თავის სოფელში და დიდ ავდრების გამო იმის ამხანაგებიდგან ცოტანი იყვნენ დასაფლავებაზე. ერთმა მათგანმა, ვ. აბულაძემ, შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა.

*** კავკავიდამ გვაცნობებენ, რომ

---

ბედნიერებაა, მაგრამ ამას გარდა, ვინ იცის, რამდენი ხარჯი კიდევ სხვა იქნება...

თქმა არ უნდა, რომ მამიდა მართალს ამბობს. რა საჭიროა, მართლა, რომ ყოველს გაზაფხულზედ მიცემ ახალ-ახალი შლიაპა არ იყიდოს ხოლმე, ზაფხულში კიდევ სხვა, საზამთროდა და საყველიეროდ კიდევ სხვა.

ამ ყველიერმა-კი სწორედ თავი მოაბეზრა! უწინ ვის გაუგონია რაღაც საყველიერო ბალები, რომელზედაც ძველებურის, ძვირფასის ტანისამოსით უნდა მივიდეს ქალი და ერთი არშინი კუდი კაბისა უკან მისთრევდეს. რასაკვირველია, მასკარადში ჩვეულებრივის ტანისამოსით ვერ წავა ადამიანი, მაგრამ განა არ შეიძლება სხვა ნაირის ტანისამოსით იაროს. მერე ვინ იცის, რამდენი ძველებური ტანისამოსი აქვს მამიდას შენახული ცხონებულ ბებიასაგან დარჩენილი. მერე რა ნაირად მოუხდებოდა ეს ტანისამოსი მიცის და თან ვერც არავინ იცნობდა ამ ტანისამოსში. მაგრამ ბენდერმა არა ქნა. წავიდა და მდიდრული კაბა შეუკვეთა ცოლისათვის, დიდი ბუმბულებიანი შლიაპა გააკეთებინა, სწორედ ისეთი, როგორიც ვენეციის ძველებურ სურათებზეა დახატული. ყველა ეს ოთხასი გულდენი დაჯდა.

კარგია კიდევ, ბენდერმა იმდენი მოისაზრა, რომ დაარწმუნა მამიდა, 83 გულდენი და 40 კრეიცერი მიეცი ყველა ამაშიო და ამ ტყუილის თქმით შეუმცირა დარდი მამიდას, დააშოშმინა მისი გული და თავადაც მოისვენა.

მაინც ბენდერი უცნაურად ექცევა მამიდას. მართალია, პირში არ შეებმევა ხოლმე, მაგრამ თავის სიტყვას-კი მაინც გაიყვანს. ხან-და-ხან კიდეც დაუთმობს ხოლმე სიტყვას, მაგრამ საქმეს-კი მაინც ისე აკეთებს, როგორც თითონ ესიამოვნება. ან არა-და ათას რამეს მოიგონებს, ოღონდ-კი დაამტკიცოს, რომ მე ვარ მართალი და მამიდა-კი მტყუანიაო. აი თუნდ იმ დღევანდელის შაქრის პურის გამოცხობისა არ იყოს. ვისაც უნდა იცოდეს, ვინ მართალია და ვინ მტყუანი, ეს ამბავი კარგად უნდა შეიტყოს. მამიდას დიდ-ძალი ნაცნობები ჰყავს. ვინც ამ ამბავს დაწვრილებით არ გაიგებს, ეგონება, რომ მამიდაა მტყუანი და რისთვისაო. პატივსაცემს მოხუც ადამიანს იმის ნება მაინც როგორ არ უნდა ჰქონდეს, რომ თავისი სიმართლე ყველას გააგებინოს.

ვინ არ იცის, რომ ახლად ჯვარდაწერილების სახლის საქმე სულ მამიდას ხელშია,—და ეს გარემოება სწორედ რომ დიდი ღვთის-მოწყალებაც არის იმათთვის. ეს საუცხოვო ადამიანი ყველაფერს ზოგვითა და ყაიმით აკეთებს და კარგადაც აკეთებს; მიცისათვის არავითარი ზრუნვა საჭირო არ არის. უიმისოდაც ყოველივე ჩინებულად კეთდება. ან-კი მართალი რომ ვსთქვათ, მიცი რა შეოჯახება. ციბრუტივითა ტრიალებს მხოლოდ, ერთი ნამცეცი გამოცდილება არა აქვს, არაფერში არც ზოგი იცის, არც ყაიმი, კვერცხსა და ერბოს მეტის-მეტად ბევრსა ჰხარჯავს, ციკორი არც-კი იცის რა არის, ერთის სიტყვით, სახლისა და ოჯახისა არაფერი გაეგება.

რაღა ბევრი გავაჭიანუროთ, მიცის ოჯახი კარგად მოეწყო და თავდაპირველად საქმე მშვენივრად მიდიოდა. ყველაფერში წესი და რიგი იყო; ბენდერს ყავა თავის დროზედ მიერთმეოდა და სადილიც თავის დროზედ მზად იყო ხოლმე. სადილი და მერე რა სადილი! იმისთანა საჭმელების გაკეთება, როგორიც მამიდამ იცოდა, დუნია რომ შემოგევლოთ, ვერ იპოვიდით. მამიდა ძრიელ გემრიელს საჭმელებს აკეთებს და ხარჯითაც ცოტასა ჰხარჯავს, რაც უნდა საუკეთესო საჭმელი გააკეთოს. ამ საქმეში მამიდას ბევრსა ჰშველის ძველებური სამზარეულო წიგნი. უიმისოდ არც ერთს საჭმელს არ გააკეთებს ხოლმე. მამიდა ისეთი ადამიანი არ არის, რომ თავის მეხსიერებას და ხსოვნას დაენდოს, და სწორე უნდა ვსთქვათ, ხსოვნა ჰღალატობთ ხოლმე კიდეც პატივ-საცემ მოხუცებულ ადამიანებს. მამიდა-კი, რასაც უნდა აკეთებდეს, ჩაყაურმავებულს ვარიებსა, თუ კურდღელსა, უთუოდ აიღებს ხელში წიგნსა (ასეთი ხასიათი აქვს მამიდას ათადამ-ბაბადამ), იპოვის იმ ფურცელს, რომელზედაც საჭმლის გაკეთებაა აწერილი, მერე მოიტანს სასწორს, მშვენიერს სასწორს, რომელიც ოქრომჭედელმა მამამ დაუტოვა და საჭმელს ყველაფერს წონით უშერება: არც მეტსა და არც ნაკლებსა. ამიტომ საჭმელებიც გემრიელი კეთდება. თუ უნდა გონებას სულაც არ გაანძრევს, მიენდობა წიგნს და წიგნი თავად გააკეთებს საჭმელსა.

მაგრამ უფრო დიდის გულ-მოდგინებით აკეთებს მოხუცებული ისეთს საჭმელებს, რომელსაც ერბო-კვერცხი და ფქვილი უნდა ბლომად. აი „კლოცკი" რა საჭმელია, მაგრამ კლოცკის რომ მამიდა გააკეთებს, სულ სხვაა. „როცა მე კლოცკის გავაკეთებო,—ხშირად იტყვის ხოლმე მამიდა, —მენდეთ, რომ ნამდვილი კლოცკი იქნებაო!" მართალიც არის. ახლა კუპატები, ახლა შაქრითა და ნაღბით გაკეთებული ლოლუები, ახლა შაქარ მოყრილი უხები! ვისაც ერთხელ მაინც უჭამია ესენი, კარგად ეცოდინება, რომ მთელს ვენაში ასე გემრიელად არსად არ აკეთებენ. იმის გამომცხვარს ფუნჩულა ნაზუქს, ქადებსა და დიდს ტკბილს შაქრის პურს ხომ ქება არ უნდა. ვერც ერთი კონდიტერი ვერას გამოაცხობს იმისთანასა.

საუბედუროდ, ბენდერი ძრიელა სწევს თუთუნს და ამიტომ ჭირივით ეჯავრება ცომისაგან ნაკეთები საჭმელები, და უფრო მეტად კიდევ—ტკბილები. კარგი ცვრიანი მწვადი, ან შემწვარი ხორცი უფრო უყვარს ბენდერს და თუ ხორცი აქვს, ხელსაც არ ახლებს, რაც უნდა საუკეთესო ტკბილი პური იდოს სუფრაზე. მიცი თუთუნს არა სწევს. თუ მოსწევს, ისიც ათასში ერთხელ, უფრო ხუმრობის გულისათვის. მაგრამ, როგორც ბევრი სხვა ახალი ჯვარდაწერილი, მიციც ყველაფერში ქმარსა ჰბაძავს; ხოლო რადგან ქმარს არ უყვარს ტკბილი, მიციმაც შეიჯავრა და თითქმის არ დაეკარებოდა ხოლმე. მამიდას გულითა და სულით უნდოდა იმათი ბედნიერება და ამიტომ ყოველი ღონე იხმარა, რომ დაეჯერებინა, ასეთი და ასეთი მარგებელი და კარგია ცომისაგან გაკეთებული ტკბილი საჭმელებიო, მაგრამ ვერა გააწყო-რა. აკეთა ხან ერთ ნაირი, ხან მეორე ნაირი, მაგრამ რაკი ნახა, რომ არც ძმის-წული, არც მისი ქმარი ზედაც არ ეკარებიან, იმათის სიყვარულით კეთილმა მოხუცებულმა თავი დაანება ასეთის საჭმელების კეთებასა.

დადგა სახელ-წოდების დღე ბენდერისა. ბენდერმა ბლომად დაჰპატიჟა თავისი მეგობრები ცოლებიანურთ. მამიდას გულში ადრევე უხაროდა ამ დღის მოახლოვება; უნდოდა ეჩვენებინა ყველასათვის, რა კარგად აკეთებდნენ ძველად საჭმელებს და აცხობდნენ ტკბილ პურსა და კვერებს. ორის დღის წინადვე დაიწყო მამიდამ ცხობა სხვა-და-სხვა ტკბილის შესატანებლისა ყავასა და ჩაიში. მერე გააკეთა სუფლე, პუდინგი, ტორტი და კიდევ ბევრი სხვა რამე. მამიდას ძრიელ უხაროდა, რომ დღეს მაინც შეეძლო ეცხო ყველაფერი, რაც სულსა და გულს უნდა. მაგრამ მეტის სიხარულით მამიდას ერთი პატარა უბედურება შეემთხვა: სრულიად გადაავიწყდა შემწვარი და ბენდერს მეტი ღონე არა ჰქონდა, ცივი ხორცი უნდა მიერთმია სტუმრებისათვის.

ცოტა ხნიერი რომ ყოფილიყო მიცის ქმარი, არას არ იტყოდა ამაზე. მაგრამ ბენდერმა, რომელსაც რაღაც მიზეზების გამო არ მოსწონდა დამზოგველ მამიდას დიასახლისობა, იმ საღამოსვე გადასწყვიტა, რომ ბოლო უნდა მოუღო მოხუცებულის მზარეულობასაო. აი როგორ შეუდგა ამ საქმეს.

(დასასრული ხვალ)

სოფ. ყაყადურში თითქმის ეს მთელი თთვეა, ყიჟანა ხველა მძვინვარებსო. ყიჟანა ხველა წინაპირველად თუმცა ძალიან ზარალს აძლევდა სოფელს, მაგრამ ეხლა ცოტა იკლო. დიდი საცოდაობა-კი არის იმ ყმაწვილების ნახვა, რომელთაც ხველებას დააწყებინებს ხოლმე. თითქმის ოთხი-ხუთის გუთნის გაშლაზედ გაიგონებს კაცი ყმაწვილის ხველიან ყიჟილს. ფერშალი შიგა სდგას ამ სოფელში, მაგრამ მაგდენს ვერასა ჰშველის საცოდავს ხველით ავადმყოფ ყმაწვილებს, რადგან აქ საჭიროა ექიმის ხელიო.

*** ქიზიყიდგან გვწერენ: მკათათვის 20-ს ელიაობასა დღესასწაულობდა აქაური ხალხი. თუმცა სიღნაღიდგან თითქმის 30 ვერსის სიშორეზედ არის, თუქურმიშის იქით, ელიას ეკკლესია, მაგრამ მთელი ქიზიყი (მაჩხაანი, მირზაანი, ტიბაანი, ფანიაანი, პრასიაანი, ოზაანი და წლუნკაანი) სულ იქ დაესწრო. კარგი დღეობაცა სცოდნია აქ ელიას. ხალხი ძალიან ბევრი იყო, ეპქრობაც კარგა გაეჩაღებინათ, დაფა-ზურნის და არღნის ყვირილით ყურთა სმენა აღარ იყო. ძრიელ შესანიშნავია ელიას ეკკლესია თავის მდებარეობით: მაღლა გორაზედ ციხესთან მიდგმულია ელიას ეკკლესია. თუმცა ამოსვლაში იღლება კაცი, მაგრამ ძალიან ჰსიამოვნებს, როდესაც გადაჰხედავს თვალ გადუწვდენელს შირაქის მინდვრებს!..

*** სიღნაღიდამ გვაცნობებენ, რომ სოფელ კარდენახში ამას წინად კაცი მოკლესო. საქმე აი როგორ ყოფილა: ერთი კაცი ყიდულობდა თურმე დუქანში არაყს, და „ტრიცეტკა“ სამშაურად დაეფასებინა მედუქნეს. სხვა დუქნებში თურმე ორ შაურ ნახევრად ჰყიდიან „ტრიცეტკა“ არაყს. ამის გულისთვის მყიდველს გაელანძღა მედუქნე და მედუქნესაც პასუხი მიეცა. ბოლოს ჩხუბი მოჰსვლოდათ და მყიდველს მედუქნისთვის კარგად ეცემნა. ამ დროს მედუქნის ძმაც მოსულიყო. რო დაენახა ნაცემი ძმა, გაჯავრებულს გამოეტანა დუქნიდგან გატენილი თოფი და ესროლა მოჩხუბარ კაცისათვის. იმ კაცს-კი ასცდენოდა და სხვას, რომელიც აშველებდა, მოხვედროდა ტყვია და იქვე მოეკლა. ამაზედ საქმე სწარმოებს.

საზოგადოდ, ძრიელ უწესოდ ვაჭრობენ სოფლად მედუქნეები. ნიხრი არ გააჩნიათ და ზოგჯერ ერთი-ორად და სამად ახალებენ საქონელს გლეხებზედ. არ იქნება ურიგო მაზრის უფროსმა მიაქციოს ყურადღება სოფლის ვაჭრობას, რადგან სოფლის მართვლნი არ დაეძებენ ამასა და არ უჭირავთ თვალ-ყური.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ყველას ყურადღება ამ ჟამად კიდევ ბოლგარიისაკენ არის მიქცეული. დღეს კიდევ ყველას ენაზე აძგია პრინცი კობურგისა და სახელები იმ დაბა-ქალაქებისა, რომლებშიაც გაიარა ახლად-ამორჩეულმა მთავარმა, ვიდრე რუშჩუკამდე მივიდოდა.

ბევრს არა სჯეროდა, რომ ასე წავიდოდა საქმე. „Моск. Вѣд.“-ი დღევანდელს ნომერში ამბობს, რომ

შუა-ევროპის მანქანებამ ვერც ეხლა გასჭრა და პრინც კობურგის კანდიდატურა ჭკიანი კაცალი გამოდგაო.

და რა „Моск. Вѣд.“-ი, სხვა გაზეთებიც ამავე აზრისანი იყვნენ. ფიქრობდნენ, რომ ვერ გაჰბედავს ფერდინანდი წასვლასა ბოლგარიაშიო, მაგრამ გაჰბედა კიდეცა და გაათავა კიდეცა

**

მეორე საყურადღებო საგანი ევროპის დღევანდელს საპოლიტიკო ცხოვრებაში ორთა იმპერატორთა ერთმა-ერთის ნახვაა.

ეს გარემოება კვლავ ისე საყურადღებო არა ყოფილა, როგორც წეღს არის.

წინადაო, ამბობს გაზეთი „Berl. Tagebl.“-ი, იმპერატორთა ერთმანერთის ნახვას სიხარულით მიეგებებოდნენ ხოლმე, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი ნახვა ერთმანერთისა მშვიდობიანობას უფრო დაამტკიცებსო.

დღეს-კი რაღა მოხდა განა. დღეს-კი საშიშია, რომ მშვიდობიანობა დაირღვევა?

დღეს არავინ არ არის დარწმუნებული, რომ კავშირი ევროპის შუა-გულ სახელმწიფოთა მშვიდობიანობის მომასწავებელი და თავ-მდები იყოსო.

საზოგადოდ-კი გაზეთი ასე ჰფიქრობს, რომ

ვიდრე ბოლგარიის საქმე არ გათავდება, საერთო ომიანობის შიში ევროპაში არ გაჰქრებაო. ამ გვარ პირობათაშორის მშვიდობიანობის დასაცველად ერთად-ერთი სახსარი გვრჩება. ეს სახსარია სამთა კავშირი, კავშირი გერმანიისა, ავსტრი-ვენგრიისა და იტალიისაო.

თუ ეს კავშირი მტკიცედ შეიკრა და იტალიის მინისტრმა კრისპიმ არსაით არ გაიწია, შესაძლებელია, მშვიდობიანობა არ დაირღვეს ევროპაში და თოფი არ გავარდეს ჯერ-ჯერობით მაინც.

**

გაზ. „Truth“-ისთანა ტყუილია. ამ გაზეთს მოსწყენია დიდთა სახელმწიფოთა დავიდარაბა და ასეთს რჩევას აძლევს თავის თანამემამულეთა, ინგლისელებს:

ჩვენ არ უნდა გავერიოთ იმისთანა საქმეებში, რომელიც პირ-და-პირ ჩვენ არ შეგვეხება. ჩვენთვის სულ ერთი უნდა იყოს, გერმანიას ეკუთვნის თუ საფრანგეთს ელზასი, საფრანგეთისა უნდა იყოს თუ იტალიისა სავოია, ვის ხელში უნდა იყოს ბოლგარია: რუსეთისა, ოსმალეთისა, ავსტრიისა, თუ თვით ბოლგართა ხელშიო.

გაზეთი არ ერიდება მთავრობას და ასე ამხელს მას:

200 წლის განმავალობაში ჩვენ მტერი არ დაგვსხმია. თუ ომი გვქონია, მუდამ ჩვენი ბრალი ყოფილა და ჩვენის სახელმწიფო კაცებისა, რომელთაც უნდათ ევროპის სცენაზე შესანიშნავი როლი ითამაშონო.

აი გაზეთი რა საბუთითა ლაპარაკობს ამ გვარად:

ჩვენაო, ამბობს გაზეთი, ძლიერი და კარგი ფლოტი გვაქვს, ჯარი-კი ცოტა გვყავს. ეს ჯარი მხოლოდ იმდენია, რომ გვყოფნის ციხეებში დასაყენებლად. ამიტომ ჩვენი სამხედრო ძალა განსაკუთრებით მტრის მოსაგერებელი ძალა უნდა იყოს და არა მტრის შესატევიო.

ინგლისი ჯერ-ჯერობით მტრის მოგერებასაც ახერხებს და შეტევასაცა, და ამას რა სჯობიან. არა გვგონია, რომ თავ-მომწონე ინგლისმა დაუჯეროს ამ გაზეთის რჩევას, გულ-ხელი დაიკრიფოს და ისე შესცქეროს ევროპის დღევანდელს გამწვავებულს ყოფასა.

## წერილები რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ამ ბარათს მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში.

წელს, გაზაფხულზე, ჩემდამო რწმუნებულ სკოლაში ბრძანდებოდა მათი ბრწყინვალება კნეინა ნინო ორბელიანისა, რომელმაც სიამოვნებით მოისმინა ყველა გაკვეთილები. შემდეგ გაკვეთილისა, გრძნობით სავსე სიტყვები უთხრა პატარა შეგირდებს და თავის სიამოვნების დასამტკიცებლად დაჰპირდა საჩუქრად 25 ცალს თავის ლექსთა თხზულებასას, რომელიც მაშინ იბეჭდებოდა ქ. ტფილისში. დღეს ეს ზემოხსენებული წიგნები, დაპირებისამებრ 25 ცალი, მივიღეთ და კიდეაც დაურიგეთ სკოლის ყმაწვილებს, რისთვისაც, როგორც ჩემის მხრით, აგრეთვე ჩემას პატარა მეგობრების შეგირდების მხრითაც გრძნობით მადლობას გულდნით ულუდვე პატივცემულ კნეინა ნინო ორბელიანისას.

ყვირილის ნორმალურ სასწავლებლის მასწავლებელი თეოფ. ხუსკივაძე

## რუსეთი

— რუსეთის გაზეთები ბევრსა ლაპარაკობენ ამ ჟამად მ. კატკოვის გარდაცვალების გამო. მხოლოდ ორიოდე გაზეთმა ხმა არ ამოიღო თითქმის და თუ სთქვა რამ, სულ ორიოდე სიტყვა სთქვა: გარდაიცვალა ესა და ესაო. ეს ამბავი ზოგიერთმა გაზეთებმა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა მისცეს კატკოვის სიკვდილს, ძალიან იწყინეს, რომ გაზ. „Новости“ და „Рус. Вѣд.“-ი ასე გაჩუმდნენ. ამაზე „Бирж. Вѣд.“-ი ამბობს: ტყუილად ამტყუნებენ ზემოხსენებულს გაზეთებს, რომ იმათ უნდათ ჩააფუჩეჩონ კატკოვის სიკვდილი და არავითარი მნიშვნელობა არ მისცენო. ამ გაზეთებს შეუძლიანთ აი რა უპასუხონ ამ ბრალმდებელთ: ივ. ტურგენევის სიკვდილიც დიდი და სამწუხარო ამბავი იყო რუსეთისათვის, მაგრამ „Моск. Вѣд.“-იმ ხმა არ ამოიღო. მაშინ ამ გაზეთს თავს არავინ დაეცა, თითქო მართლა ასე უნდა მოქცეულიყოვო. სიკვდილმა უნდა შეარიგოს მტერნი, მართალია, მაგრამ ტყუილია, სისულელეა, რომ ვითომ სიკვდილს შეუძლიან გუშინდელი მტრობა და ძულება დღეს მეგობრობად გადააქციოს. თვით კატკოვი დასცინებდა რომ იმათ, ვინც გუშინ ებრძოდა, დღეს ხელების კოცნა დაეწყოთ ფარისევლობით. კატკოვი მიიცვალა, მაგრამ მისი აზრები და დასი კიდევ ცოცხალია. მაშასადამე, ცოცხალია ჯერ კიდევ ის ძულებაცა და მტრობაცა, რომელიც აშორებდა მის დასს სხვა დასთაგან. ეს მტრობა ხომ პირადი მტრობა არ იყო? მაშ როგორ გაჰქრებოდა ეს მძულვარება კატკოვის სიკვდილთან ერთად?

— რუსეთში ერთი შინაური ექიმბაში ქალი გამოჩენილა. ამ ქალს დიდი ცოდნა აქვს თურმე, ექიმობისა, თუმცა არსად არა უსწავლია-რა, და ბევრსაც არჩენს და ჰკურნავს თავის წამლებითა. ეს ქალი სცხოვრობს სუმის მაზრაში, ხარკოვის გუბერნიაში და გვარად პრასკოვია ბოლუშია. იმდენი ხალხი ექიმობს ამ დედაკაცთან, რომ მოსვენება არა აქვს. ასე განიჯეთ, ექიმებიც-კი იმასთან მიდიან მოსარჩენადაო. უფრო ადვილად არჩენსო, ამბობს გაზ. ‹Недѣля›, ავის სენით შეპყრობილთა, ესრედ წოდებულ ვენერიულ ავადმყოფობასა, სურავანდსა, კუჭის სისუსტესა, ქარებსა და ფუშსა. დოქტორები და პროფესორები თავიანთ ნათესავებს უგზავნიან ამ დედაკაცს მოსარჩენადაო. შარშან შეიდს დოქტორს არჩენდა ეს დედაკაცი. პრასკოვია ბოლუში ამ ჟამად არჩენს ბევრს სიფილისიან ავადმყოფს. მე ენახეო, ამბობს გაზეთის კორრესპონდენტი, ამ საზარელის ავადმყოფობით შეპყრობილნი და იმათ მითხრეს, რომ ეხლა კარგადა ვართო, მადაც მოგვეცა და ხალისიცა გვაქვსო. სად არ ვიყავით, რამდენი ფული არ დავხარჯეთ, არა გვეშველარა და ამ დედაკაცმა-კი ასე მოგვარჩინაო. ის-ის იყო თავის მოკვლას ვაპირობდით, რომ ეს საკვირველი ადამიანი არ გამოგვჩენოდაო.

## წვრილი ამბები

— გაზ. „Standard“-ი ამბობს, რომ პროფესორი კოხი ჰბეჭდავს ამ ჟამად მთელს თხზულებას თავის მოგზაურობაზე ეგვიპტესა და ინდოეთში ამ ოთხის წლის წინად. ამ ოთხის წლის წინად პროფესორ კოხმა ხოლერის შესასწავლად მოიარა ეგვიპტე და ინდოეთი.

— ნიუ-იორკში 1886—87 წლის ზამთრის სეზონში ნემეცურს ოპერას 420,000 მან. ზარალი მოჰსვლია. ეს ზარალი უნდა იკისრონ 70 ამხანაგთა, კაცის თავზე ექვს-ექვსასი მანათი. ან ნაზარალევ ფულის სამაგიეროდ ამხანაგთ მუქთი ლოჟა მიეცემათ შერმისისათვის.

— 1872 წ. პ. დ. ბობორიკინმა გამოსცა მეტად ძვირფასი სახელმძღვანელო იმათთვის, ვისაც სცენის შესწავლა მოუწადინებიათ, „სათეატრო ხელოვნება“. ეხლა ეს წიგნი იშვიათად საშოვნელიდაა. ამ ჟამად ნ. ს. ვედენცოვს გამოუცია პეტერბურგში ამისთანავე „სახელმძღვანელო სასცენო ხელოვნების შესასწავლად“. ამ წიგნს დამატებად აქვს მიბეჭდილი ცალკე საგანი, გრიმის გაკეთების შესწავლა, რომელიც ამ საქმის კარგა მცოდნეს ა. სმირნოვ-რამაზანოვს შეუდგენია.

— ოპერეტტს ძალიან ფეხი გაუდგამს და გავრცელებულა ოსმალეთში. სტამბოლში ამ ჟამად შეუდგენიათ საოპერეტტო დასი, რომელმაც ჯერ მთელი ეგვიპტე უნდა მოიაროს და მერე ნეაპოლში წავიდეს. ამ დასში არტისტებად ოსმალები და ბერძნები არიან და შემდეგს ოპერეტტებს წარმოადგენენ: „ლებლებიჯი“, „ხარკორ“, „არიფ“ და სხ., რომელნიც შეუთხზავს ერმენო თექაჩჯიანს. ამ თექაჩჯიანს სამუსიკო სწავლა იტალიაში დაუსრულებია და ძალიან ნიჭიერი კაცი არის თურმე.

— ამას წინად წვრილს ამბებში გვქონდა ნათქვამი, რომ საფრანგეთში დიდ-ძალი სურათები იბეჭდება გენერალ ბულანჟესი, თუმცა საპოლიტიკო ასპარეზიდგან გადმოდგა ბულანჟეო. თურმე ამ სურათების გამოცემაზე შრომობენ და მუშაობენ ფრანგებს გარდა... გერმანელებიც. ამ დღეებში საფრანგეთის საზღვარზე გაუტარებიათ 70,000 ცალი კიდევ ბულანჟეს სურათი, რომელიც გერმანიაში შეუმზადებიათ და საფრანგეთში მოუტანიათ თითო თითო მანათად გასასყიდად.

— იაპონიის საიმპერატორო აკადემიის დირექტორს ტოკიოში ექიმს კიგუკის დაუწყვია „სახელოვნო და სამეცნიერო“ ჟურნალის გამოცემა. ეს ჟურნალი ოთხს ენაზედ გამოდის თურმე: იაპონურს, ინგლისურს, ფრანგულს და გერმანულს ენებზედ.

— ლონდონში გარდაცვლილა განთქმული მწერალი ჰენრის მაიგიუ, რედაქტორი საპოლიტიკო და სასატირიკო ჟურნალ „Punch“-ისა, რომელშიაც უწყვეტლივ დასცინოდა ხოლმე ინგლისის ბევრს სახელმწიფო კაცთა, პარლამენტის წევრთ და სხვა საზოგადო მოღვაწეთ. პოლიტიკის გარდა განსვენებულმა აგრეთვე დიდი შრომა გასწია და მთელი თხზულება დაჰბეჭდა ლონდონის გლახებსა და იმაზედ, თუ რა წყაროდგან იკვებებიან და თავს ირჩენენ ეს გლახებიო.

— ბოლგარებს ვენის ზარაფხანისათვის 30,000 მედალი შეუკვეთნიათ „სამამაცოსათვის“. ამ მედლებზე ჩამოსხმული იქნება სლივნიცის გმირის და ბოლგარიის მთავრის პრინც ალექსანდრე ბატტენბერგის სურათი; აგრეთვე ეწერება იმ ბრძოლათა სახელები, რა ბრძოლებშიაც ბოლგარებმა სერბიელებზედ გაიმარჯვეს.

— პრუსა და რეინალს, გაზეთ „Indépendance Belge“-ს სიტყვით, შემდეგი წერილი მიუღიათ ჟულ ფერრისაგან: ‹სენ-დიე, 22 ივლისი. ჩემო საყვარელო მეგობრებო, მე მონდობილი მაქვს ბულანჟეს სეკუნდანტებთან ერთად დავადგინო, თუ რა პირობებით უნდა ვიბრძოლოთ. ადრევე წინადადებული პირობანი თქვენ არ მოგეწონათ და სხვა პირობანი დაადგინეთ, რომელზედაც მეც თანახმა ვარ. სხვებრ დავშთები თქვენი მეგობარი და სხ. ჟულ ფერრი›. ამაზედ ერთი აყალმაყალია ამ ჟამად საფრანგეთის გაზეთებში ატეხილი, თუ რა პირობები არ იქმნა მოწონებული და რა მოწონებულიო. ამ წერილის გამო ‹Figaro› კითხულობს, ნეტა როგორ მიიღებს ამ წერილს გენერალი ბულანჟეო და რას იტყვისო. კასსანიაკი კიდევ ცეცხლს ნავთს უმატებს: ‹თუ მართლაც და ბულანჟე ძალიან გულით არის მოწადინებული ფერრისთან ბრძოლას, რატომ იმ იარაღს არ ამოირჩევს, რომელიც ზედა აქვს გაკეთებული? რატომ დაშნას არ ამოირჩევს? დაშნით ბრძოლა კარგია, როცა მებრძოლთა შუა მანძილის შემოკლება და ადამიანის გულთან ახლო ყოფნაა საჭირო, რომ უფრო ადვილად მიახვედრონ დაშნა. დამბაჩით ერთმანერთის მოკვლა შეუძლიანთ, დაჭრა, შეიძლება სრულიადაც აცდინონ ერთმანერთს ტყვია; დამბაჩა საზიზღარი და ამასთან სასაცილო იარაღია. დაშნით ბრძოლა-კი ჩვეულებაც არის და ჩვენს მამა-პაპათაც დაშნით უბრძოლიათ. მე კიდევ იმედი მაქვს, რომ ბულანჟე მოიგონებს და მიხვდება, და რადგან მებრძოლთა შუა მანძილის დატოვებაზე ჯერ მორიგებულან, ისევე დაშნას ამოირჩევს საბრძოლველ იარაღადაო.›

## გასართობი

ტრეპერის თბილს წყლებზედ მიუყვანიათ ამას წინად ორი ძაღლი ჰერცოგის სუტერლანდისა, რომელთაც ქარები აქვთ თურმე და წყლებზედ ბანაობა ურჩევიათ ექიმებს. ძაღლებს თან ახლავთ მეითალი, მსახური და ერთიც პატარა ბიჭი. თბილს წყლებზე მოსულთა სია-დავთარში ასე არიან ჩაწერილნი თურმე ეს ძაღლნი: „მობრძანდნენ კილლა და ბიანკა, ძაღლნი მის უგანათლებულესობის ჰერცოგ სუტერლანდისა, ამალითა და მსახურებითურთ.“ ჰერცოგის ძაღლებისათვის ცალკე სახანო ადგილი გაუმართავთ ყოველისავე მოწყობილობით. რამდენი საწყალი და ღარიბი კაცი შეჰნატრებს ამ ძაღლების ცხოვრებას!..

**

პარიჟის თეატრის დაწვის დროს სხვათა შორის ერთი ახალგაზდა მომღერალი-ქალი გადაურჩენიათ. ამ საცოდავს ქალს ცეცხლში ისე დასწვია და დამახინჯებია სახე, რომ არტისტობაზე ხელი უნდა აიღოს თურმე, რადგან აღარავინ მიიღებს. ამ გარემოებას ისე შეუწუხებია ქალი, რომ კინაღამ ჭკუიდამ აცდებულა, და ბედს ემდურებოდა თურმე, თუ ასე მამახინჯებდი, სიკვდილს რაღათ გადამარჩინეო. ქალის ასეთს სამწუხარო მდგომარეობას მეტად დაუნაღვლიანებია

გამოჩენილი კომპოზიტორი ლეო დელიბა და დაჰპირებია, რომ განსაკუთრებით შენთვის დავწერ ოპერას, რომელშიაც უმთავრესის ქალის როლი შენი სათამაშო იქნება და სცენაზედ ამ როლში სულ ნილაბით უნდა იყო ხოლმეო. ახალგაზდა არტისტ-ქალს დიდი მადლობა გადაუხდია სულგრძელის და მადლიანის კომპოზიტორისათვის და ეხლა სრულიად დამშვიდებულა.

**

აი ერთი ამბავი, რომელიც აშკარად გვიმტკიცებს, თუ მტრობას რა შეუძლიან და როგორ აუბამს ხოლმე კაცს მტრობა თვალებს. ეს ამბავი სტრასბურგში, მდინარე ილლას ნაპირზე მომხდარა.

ერთს უბინაო და მაწანწალა კაცს, როცა ძალიან შეწუხებულა სიღარიბით და შიმშილით, გადაუწყვეტია: ისევ ის სჯობია, თავი დავირჩო და მოვრჩე ამდენს ტანჯვა-წვალებასაო. ეს მაწანწალა კაცი გადავარდნილა მდინარეში, მაგრამ ბოლოს სიცოცხლის სიტკბოებას დაუძლევია, თავი შეპბრალებია და დაუწყვია უვირილი: მიშველეთ, ქრისტიანი ვინა ხართო! იქვე მდინარის პირზე დასეირნობდნენ თურმე გერმანიის ორნი პოლიციელნი და ყურადღება-კი არ მიუქცევიათ საბრალო მაწანწალას უვირილისა და შველის ხმისათვის. ამასობაში მაწანწალას წყალი სძლევს თურმე და თანდა-თან ძირს ჩააქვს ამ ქვეყნისაგან სამუდამოდ და საუკუნოდ გამოსასალმებლად. უეცრად მაწანწალას ერთი მშვენიერი აზრი მოსვლია თავში, შემოუკრებია უკანასკნელი ძალა და ღონე, თავი ამოუყვია მდინარიდგან და რამოდენადაც-კი შესძლებია, დაუღრიალნია: „vive la France!“ (გაუმარჯოს საფრანგეთსა!). ამ სიტყვებს თილისმასა და ჯადოსავით გაუჭრია: სულ რამდენსამე წუთში შეცვივნულან პოლიციელნი, გამოუყვანიათ წყლიდგან მაწანწალა და პოლიციაში წაუთრევიათ, რათა დაესაჯათ საფრანგეთის მომხრეობისათვის. პოლიციაში ცალკე ოთახში დაუმწყვდევიათ მაწანწალა, რომელიც თბილად არის თურმე, კუჭი მაძღარი აქვს და ძალიანაც მადლიერია თავის ბედისა.

# დეპეშა

1 აგვისტო

რუშჩუკი. პრინცმა ფერდინანდ კობურგისამ, ბოლგარიაში წასვლის წინად, სახელმწიფოებს გაუგზავნა შემდეგი ცირკულიარი: „როდესაც დიდმა კრებამ ტირნოვოსამ ერთხმად ამომირჩია ბოლგარიის მთავრად, მაშინ დეპუტაციას, რომელმაც მომიტანა ამ ამორჩევის ოქმი, ვუთხარი: მე არ უარ-ვყოფ ხონთქარის უზენაესს უფლებას და განზრახვა მაქვს, ვიდრე უკანასკნელს პასუხს მოგცემდეთ, მოვუცადო, თუ რას ეტყვიან ბრწყინვალე პორტას ის დიდნი სახელმწიფონი, რომელთაც ხელი უწერიათ ბერლინის ხელშეკრულობაზედ და რომელთაც პორტამ ცირკულიარით აცნობა ჩემი ამორჩევის ამბავი. დიდთა სახელმწიფოთა პასუხიდამა ვხედავ, რომ არც ერთი მათგანი არ მიცქერის მე მტრულის თვალით, და თუ რაიმე უთანხმოება არის მათ პასუხ ბში, ეგ მხოლოდ შეეხება ხსენებულ დიდ კრების კანონიერობას, ე. ი. შეეხება ბოლგარიის შინაგან საქმეს, მთავრის არჩევანს. დავპირდი-რა ბოლგარიის ერს დავუმტკიცო, როცა დრო მოვა, ჩემი ერთგულება მისდამი, მე გადავსწყვიტე შევისმინო ხვეწნა და ვედრება ერისა, რომელსაც იმის მეტი არა უნდა-რა, რომ იცხოვროს მშვიდობიანად, განივითაროს თავისი ძალ-ღონე და არა მოიმოქმედოს-რა კონსტიტუციის წინააღმდეგი. მე წაველ ბოლგარიაში, რათა ხელმძღვანელობა გავუწიო მამაცს ერს, რომლის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის შემიწირავს ჩემი თავი და სიცოცხლე. ავდ ვარ ბოლგარიის ტახტზე, რომელიც მაკუთნა ერის არჩევანმა, და მტკიცედ გადავწყვიტე ვიშრომო წესიერებისა და მშვიდობიანობის დამკვიდრებისათვის ჩემს ახალ სამშობლოში. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ხონთქარი აახქარებს ჩემს დამტკიცებას და ინებებს, ბოლო მოუღოს გაჭირებულ ყოფა-ცხოვრებას, რომელიც სტანჯავს და აუძლურებს ბოლგარიას მთელი ერთი წელიწადი. მრწამსრა სიწმინდე საქმისა, რომელიც თავს ვიდე, და სისუფთავე და პატიოსნება ჩემის განზრახულებისა, დიდად ვიმედოვნებ, რომ ყოვლად შემძლებელი ღმერთი დამილოცავს გზასა და მეუღლება შემწედ. ებენტალის ციხე-დარბაზი, 10 აგვისტო“.

რუშჩუკი. ის გემი, რომლითაც მოვიდა პრინცი ფერდინანდი, შეამჩნია ქალაქმა დილის 10 საათზე. მეციხოვნეთა ჯარი შეიკრიბა ქალაქის მოედანზე. როცა პრინცი ნაპირას გამოვიდა, იმის წინაშე წარსდგა აქაური მთავრობა და სამღვდელოება. პრინცმა გაიარა ხალხში, დაჰხედა ჯარს მოედანზე და დაბრუნდა ისევ უკან გემში. იქ წარსდგნენ მის წინაშე სამოქალაქო და სამხედრო დეპუტაციები. დეპუტაციები მიესალმნენ და სიტყვები წარმოსთქვეს. პრინცმა პასუხად სთქვა, რომ მე იმედი მაქვს თქვენის ერთგულებისა, რომელიც საჭიროა ბოლგარიის ბედნიერებისათვისაო. შემდეგ ყველანი ისლან-ხანეს სასტუმროში წავიდნენ. იქ ქალაქს სადილი ჰქონდა მომზადებული. როცა ტკბილი მოიტანეს, წარმოთქმულ იქმნა მრავალი სიტყვები. პასუხად პრინცმა ბოლგარულად სთქვა სიტყვა. ხვალ დილით პრინცი მიდის სისტოვოს და საღამოს 5 საათზე მივა ტირნოვოს, საცა იკრიბებიან დიდის საერო კრების დეპუტატებიცა. კვირას პრინცი წარსდგება კრების წინაშე და ფიცს დასდებს, შემდეგ რეგენტები და მინისტრები სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდს მიართმევენ და მაშინვე შესდგება ახალი სამინისტრო სტამბულოვის მოთავეობით. ჰგონებენ, რომ, რადგან მალე სათემო და საერო კრების არჩევანები იქმნება, პრინცი ახალს სამინისტროს შეადგენს მხოლოდ სტამბულოვის მომხრეთაგან უკონსერვატორებოდ და არც რადოსლავოვის მომხრეებს გაურევსო. დეპეშა, რომელიც პრინცმა ფერდინანდმა გაუგზავნა ხონთქარს, ახლა მიღებული იქმნება სტამბოლში. დეპეშაში სწერია, რომ იმედია, ხონთქარი შეიწყნარებს ახალს მთავრობასაო. ელჩნი არ დასწრებიან, როცა პრინცს ხალხი მიჰგებებია.

ბერლინი. თავადი ბისმარკი წავიდა დღეს დილის 8 საათზე კისინგენს.

ვენა. „Fremdenblatt“-ი ამბობს, რომ თ. ბისმარკი და გრაფი კალნოკი უთუოდ ინახულებენ ერთმანერთსა, მაგრამ ჯერ არ გადაუწყვეტიათ, სად და როდის.

3 აგვისტო

ვენა. რუსეთის ელჩი ვენაში, თავადი ლობანოვი-როსტოვსკი, ამ ახლო ხანებში წასვლას აპირებს აქედამ და, თუ მოულოდნელად დიდი ამბავი არა მოხდა რა, სამ თვემდე არ დაბრუნდება აქ.

რომი. პაპის კობურგის პრინცისთვის ლოცვა-კურთხევა გამოუგზავნია.

ტირნოვო. კობურგის პრინცი შაბათს საღამოს მოვიდა აქ. კვირას დილით, პარაკლისის გადახდის შემდეგ საკათედრო სობოროში, პრინცმა, დიდ საერო კრების სახლში, სამღვდელოების, ბოლგარიის მმართველების, კრების, სამხედრო და საერო მთავრობის წარმომადგენლების წინაშე, ფიცი მისცა, რომ ერთგული ვიქმნები კონსტიტუციისაო. შემდეგ წაკითხულ იქმნა პრინცის პროკლამაცია დიდ საერო კრების მიმართ. დღეისთვის, ორშაბათისთვის, დანიშნულია სხდომა დიდ საერო კრებისა ახალ სამინისტროს შესადგენად. სამშაბათს პრინცი ფილიპოპოლში აპირებს წასვლას და იქიდამ სოფიაში.

პეტერბურგის ბირჟა, 31-ს ივლისს

ფასები:

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 9 36 |
| ტამოჟნის კუპონები | — › | — › | 182 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — › | — › | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — › | — › | $266^1/_2$ |
| — მეორისა | — › | — › | 252 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | — › | — › | 99 |
| ქუთაისის ბანკისა | 99 | — › | — › |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | $83^3/_4$ | — › | — › |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აგვისტო 31 დღით არის.

4 დღე სამშაბათი. 7-თა ეფესელ ყრმათა და ქალწ.-მოწ. ევდოკიასი. კათოლ. დომინიკასი და ისააკისა. სომეხ. წმ. ანდრია მხედარ-მთავრისა, მისის რაზმისა და სხ. მუსულ. მე-27 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—9, ჩადის 6—57. მთვარე 28 დღისაა.

5 დღე ოთხშაბათი. მოწ. ევსიგნესი. კათოლ. ოსვალდისა და აფრასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-28 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—10, ჩადის 6—56. მთვარე 29 დღისაა.

6 დღე ხუთშაბათი. ფერის-ცვალება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ხსნილი თევზით. კურთხევა ყურძნისა და სხვა ხილისა. კათოლ. ფერის-ცვალება უფლისა. პეტრესი და იოანნესი. სომეხ. წმ. ანდრიასი, იმის მეუღლის ნატალიასი და სხვ. მუსულ. მე-29 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—11, ჩადის 6—54. მთვარე 30 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა | 3 | › |
| › 2 › | $2^1/_2$ | |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | $3^1/_2$ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პური ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი . . . . | 13 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | 8 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—ამის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და იასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს კადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აჩის რაო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

განმეორებითი ეგზამენები დაიწყება ქუთაისის ორ კლასიან საქალ-ვაჟო პეტრე-პავლეს სამრევლო სკოლაში ოც-და-ექვს აგვისტოდგან, ხოლო მისაღები ეგზამენები ოც-და-რვა აგვისტოდამ. ამ სკოლის კურსის გათავების შემდეგ გიმნაზიის და პროგიმნაზიის პირველ კლასებში მიიღებიან ეგზამენით ყმაწვილები. ამავე სკოლაში არის გახსნილი სარეპეტიციო გაკვეთილები ორისავე სქესის ყმაწვილთათვის ყველა სასწავლებლებისა. სწავლის ფასი არის წელიწადში თვითეულ მოსწავლეზედ თექვსმეტი მანეთი. თხოვნა მიიღება ამ სკოლის მმართველის მღვდლის ნ. ხუციშვილის სახელზედ ოცს აგვისტოდამ.

სკოლის მმართველის მაგიერ მასწავლებელი ლევი გაჩეჩილაძე.

(1—1)

სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს, რომ ამა მდგომარე 1887 წ. ენკენისთვისათვის სკოლის პირველს განყოფილებაში ორმოცი (40) ვაკანსია იქნება, მეორეში ექვსი (6) და მესამეში და მეოთხეში შეიძლება მხოლოდ შემთხვევით აღმოჩნდეს ვაკანსია. პირველს განყოფილებაში მისაღებ ყმაწვილებს ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 15 აგვისტოდამ 25-დის და თან წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: მოწმობანი წლოვანებისა და აზნაურობისა, ანუ ბანკის გამგეობის კვიტანცია, რომ მოსწავლის მშობლები (დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთაგანი არიან. პირველს განყოფილებაში შვიდისა და რვა წლის ყმაწვილი მიიღება, მეორეში ცხრისა, მესამეში ათისა და მეოთხეში თერთმეტისა. თანახმად საბანკო კრების გარდაწყვეტილებისა, სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში ყმაწვილის მიბარების უფლება აქვთ ქუთაისის გუბერნიის ყოველი მაზრას თავად-აზნაურთა.

(8—3)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს, რომ 1887 წ. ენკენისთვისათვის პირველ განყოფილებაში ოც-და-თერამეტი (38) ვაკანსია იქნება; მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებებში ვაკანსიები სულ არ არის. აგრეთვე არ არის ვაკანსიები პროგიმნაზიის პირველსა და მეორე კლასებში. პროგიმნაზიის მესამე კლასში იქნება ოთხი ვაკანსიდა მეოთხეში არა ნაკლებ ოცის ვაკანსიისა. პირველ განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 17 აგვისტოდამ 24 აგვისტომდე და ამასთანავე უნდა სარმოადგინონ წლოვანობის და აზნაურობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმობანი არ ექნებათ, ბანკის მოწმობა (კვიტანცია) მაინც უნდა იქონიონ, რომ ყმაწვილის მშობელი (დედა, ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა წევრთა შორის ითვლება.

სწავლა დაიწყება პირველს სექტემბერს.

სპირიდონ ჯორჯიკია

(6—4)

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: ტფილისში ჩარკვიანთან, სემინარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე; გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდის ყურთან, და ქუთაისში ჰილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

## დასტურლამალი

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემლისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

Дозв. цен. Тиф. 3 августъ, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე